მოგესალმებით მინიაგურის მინი სამყაროში!

წარმოგიდგენთ მშნებლობის ინსტრუქციას „წითელი აგურის სახლი ღობით“ მაკეტისათვის.

1-ეტაპი. სამშენებლო მოედნის მოწყობა- მოხსენით სახურავი ყუთს, რომლითაც მიიღეთ ჩვენი პროდუქცია და მოათავსეთ სახურავი ჰორიზონტალურ მდგომარეობაში.

2-ეტაპი. ცემენტის მასის მომზადება - თქვენს აგურის სახლის მაკეტს მოყვება 3 მინიტომარა ცემენტი. გახსენით მხოლოდ ცემენტის 1 ტომარა, ჩაყარეთ მოსაზელ ჭურჭელში ნახევარი ტომარა ცემენტი. გაითვალისიწნეთ, რომ მოზელილი მასა არ უნდა გაგითხელდეთ, ამიტომ წყლის დასხმის დროს გამოიჩინეთ სიფრთხილე. თავიდან წყალი უნდა დაასხათ ძალიან ცოტა რაოდენობის და მოზელის (მორევის) პროცესში უნდა ამატოთ, როდესაც მიიღებთ ერთგვარ ბლანტ მასას ე.ი. ცემენტის მასა მზადაა გამოსაყენებლად. გაითვალისწინეთ ცემენტის მასა გაშრება 40-50 წუთის განმავლობაში, შრობა დამოკიდებულია ოთახის ტემპერატურაზე და ტენიანობაზე. ბლოკის (აგურის) დაშენების პროცესი ხორციელდება ჩვეულებრივი სამშენებლო წესების დაცვით, მოზელილი ცემენტის მასა უნდა დაიტანოთ ბლოკის (აგურის) ნასვრეტებიან მხარეს და მოათავსოთ ზედაპირზე. 2-3 რიგის დაშენების შემდეგ 50-60 წუთი უნდა დაელოდოთ შრობას და ამის შემდეგ გააგრძელოთ შემდეგი რიგების დაშენება. გაითვალისიწნეთ ზემოთ მოცემული დროები არ არის ცემენტის შრობის სრული დრო, ამიტომ დასრულებულ ნაგებობას გარკვეული პერიოდის (24 საათი) განმავლობაში უნდა მოეპყროთ სიფრთხილით.

3- ეტაპი. სახლის შენების დროს დაიცავით სურათზე მოცემული აგურების განლაგების სქემა



მეორე რიგის დაშენებისას ფანჯარა და კარები მოათავსეთ მოცემული სურათის მიხედვით და გააგრძელეთ დარჩენილი ოთხი რიგის აგურების დალაგება



აგურების დალაგების შემდეგ შენობას უნდა ქონდეს შემდეგი სახე:

აგურების დალაგების შემდეგ სახურავი ააწყვეთ და მოათავსეთ შენობაზე, ქვემოთ მოცემული სურათის მიხედვით

4- ეტაპი. სახლის მშენებლობის დასრულების შემდეგ სახლს უნდა აუშენოთ ღობე. ღობის შენებისას დაიცავით სურათზე მოცემული აგურების განლაგების სქემა და კოლონების ამოყვანის პრინციპი.

ღობის მშენებლობის დასასრულებლად სვეტებზე დააშენეთ სვეტის სახურავი ფილები, ააწყვეთ ხის მოაჯირები და ჩასვით სვეტებს შორის, მოცემული სურათის მიხედვით.



დასრულებულ შენობას უნდა ქონდეს შემდეგი სახე

გისურვებთ წარმატებას!